მშობლობის ღირებულება საქართველოში:

დამხმარე რეპროდუქციული მკურნალობის თანმხლები ფინანსური ბარიერები

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

მაგისტრი: ანა გელეიშვილი

ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გელეიშვილი,

15.06.2023

აბსტრაქტი

ნაშრომი, მშობლობის ღირებულება საქართველოში: დამხმარე რეპროდუქციული მკურნალობის თანმხლები ფინანსური ბარიერები მკურნალობის საჭიროებისას, ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია. სწორედ ამიტომ, საკითხის შესასწავლად და ღირებული დასკვნის ჩამოყალიბებისათვის, აუცილებელია, არა მხოლოდ არსებული ლიტერატურის კვლევა და ანალიზი, არამედ თვისებრივი კვლევის განხორციელება, როგორც ექიმებთან, ასევე პაციენტებთან. იმ პირებთან, ვისაც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით მკურნალობის უშაუალო გამოცდილება აქვთ. გარდა ამისა, ასევე განხორციელდა სოციალური ქსელების კვლევა, რამაც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა და ფაქტობრივად დაადასტურა არსებული მოსაზრება, დამხმარე რეპროდუქციული მკურნალობის მაღალი ღირებულება, ქმნის ფინანსურ ბარიერებს წყვილებისთვის, რაც ამცირებს ამ მეთოდით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

საქართველო იმ ქვეყანათა რიგშია, სადაც არსებული ზოგადი ეკონომიკური ფონი საკმაოდ რთულია, უმუშევრობა მაღალია, ხელფასის ოდენობა კი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას ჰყოფნის. შესაბამისად, დაბალშემოსავლიანი წყვილებისთვის საკმაოდ რთულია თანამედროვე რეპროდუქციული საშუალებებით მკურნალობა. უფრო მეტიც, როგორც კვლევით დგინდება წყვილებს ხელფასი არაფერში ჰყოფნით, მათ ძირითადად ოჯახები და ახლობლები ეხმარებიან. არის შემთხვევები, როცა წყვილები მკურნალობის მიზნით საბანკო კრედიტებსაც კი იღებენ.

ვითარებას ართულებს, წამლების ფასი, რომელიც ძალიან მაღალია. სოციალურ ქსელებში არსებულ ჯგუფებში პაციენტები თავად ცდილობენ ერთმანეთის დახმარებას და მორჩენილ წამლებს ერთმანეთს ჩუქნიან, რაც მხოლოდ ერთეულების მდგომარეობას ამსუბუქებს და საერთო ფონზე ნაკლებად აისახება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამხმარე რეპროდუქციული მკურნალობის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამა ამუშავდა აჭარაში, ეს გარკვეულ იმედს სახავს სხვა რეგიონებში მცხოვრები წყვილებისვისაც. თუმცა, ამ დროისთვის მათ არც სახელმწიფო და არც კერძო დაზღვევა არ უფინანსებს მკურნალობას.

ბოლოს, შეიძლება ითქვს, რომ მშობლობის ღირებულება საქართველოში, დამხმარე რეპროდუქციული მკურნალობის საჭიროებისას ძალიან მაღალია, იმდენად რომ ბევრი წყვილი ეგუება ფაქტს და შვილის ყოლას აღარ ცდილობს.

Abstract

Cost of parenthood in Georgia:

Financial barriers to assisted reproductive treatment

The paper, The Cost of Parenthood in Georgia: Financial barriers to assisted reproductive treatment, is a very relevant and important issue. That is why, in order to study the issue and form a valuable conclusion, it is necessary not only to research and analyze the existing literature, but also to carry out qualitative research, both with doctors and patients. With individuals who have direct experience with assisted reproductive technology treatment. In addition, a social network survey was also conducted, which provided very important information and actually confirmed the idea that the high cost of assisted reproductive treatment creates financial barriers for couples, reducing the availability of this method.

Georgia is one of those countries where the current general economic background is quite difficult, unemployment is high, and the amount of salary in many cases only separates the satisfaction of basic needs. Therefore, it is quite difficult for low-income couples to be treated with modern reproductive means. Moreover, as the research shows, families and relatives help couples who have nothing to do with their salary. There are cases when couples even take bank loans for treatment.

The situation is complicated by the price of drugs, which is very high. In groups on social networks, patients themselves try to help each other and donate leftover drugs to each other, which only alleviates the condition of the units and is less reflected in the general background.

It is worth noting the fact that the state program for financing assisted reproductive treatment has been launched in Adjara, this gives some hope to couples living in other regions. However, at the moment neither state nor private insurance funds their treatment.

Finally, it can be said that the cost of parenthood in Georgia, with the need for assisted reproductive treatment, is very high, so much so that many couples adapt to the fact and stop trying to have children.

Ana geleishvili

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ელენე გავაშელიშვილს, კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობისთვის, საინტერესო პროცესისთვის და გამხნევებისთვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს, მათი გულწრფელობისა და გამოცხადებული ნდობისთვის. ბოლოს, კი მადლობას ვუხდი ჩემს შვილს, 3 წლის მარიამს, ჩემდამი, ამ განსაკუთრებულად რთულ პერიოდში, გამოვლენილი არნახული გაგებისა და მოთმინებისთვის.